

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО
Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

12 აპრილი
ხუთშაბათი,
1962 წ.
№ 73 (1924)
გამოცემის მე-18 წელი.
ფასი 3 კაპ.

მრავალდღიანი რბოლა

17 აპრილს მინგეჩაურში (აზერბაიჯანი) სტარტი მიეცემა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მრავალდღიან ველორბოლას საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გარდამავალ თასზე. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის უძლიერესი საკლუბო გუნდები. აზერბაიჯანის სპორტულ ღირსებას დაიცავენ „ნეფტიანიკის“, „ბურევესტნიკის“, „მეხსულის“, „სპარტაკის“ და არმიის სპორტული კლუბის კოლექტივები. სომხეთი ამ შეჯიბრებაში წარმოდგენილი იქნება „სპარტაკით“, „დინამოთი“, „აშხატანკით“, არმიის სპორტული კლუბისა და „კოლმპესაკანის“ კოლექტივებით. საქართველოს გამოჰყავს შემდეგი გუნდები: „კოლმეურნე“, „განთიადი“, „დინამო“, „ბურევესტნიკი“ და არმიის სპორტული კლუბი.

მთავარი პრიზისათვის ბრძოლაში მონაწილეობს 15 საუკეთესო ველოსიპედისტი თვითეული რესპუბლიკიდან. ამას გარდა, გათამაშდება სხვადასხვა ჯილდოც: პირად პირველობაში გამარჯვებულს, უძლიერეს საკლუბო კოლექტივს, მაღალმთიან ეტაპზე გამარჯვებულ ველოსიპედისტს და სხვ.

რბოლის პირველი ეტაპის ფინიში მოეწყობა ნუხაში. მომდევნო ეტაპების თანმიმდევრობა ასეთია: II ეტაპი: ნუხა-ზაქათალა (18 აპრილი), III ეტაპი: ლაგოდეხი-თბილისი (19 აპრილი). 20 აპრილს ველოსიპედისტებს დასვენების დღე ექნებათ. 21 აპრილს თბილისში გაიმართება შეჯიბრება დაყოფილი სტარტით 50 კილომეტრზე. IV ეტაპი: თბილისი-იჯევანი (22 აპრილი), V ეტაპი: იჯევან-ერევანი (23 აპრილი), 24 აპრილს — დასვენების დღე. VI ეტაპი: ერევანი-იჯევანი (25 აპრილი), VII ეტაპი: იჯევანი-კიროვაბადი (26 აპრილი), VIII ეტაპი: კიროვაბადი - მინგეჩაური (27 აპრილი). 28 აპრილს დასვენების დღეა. IX ეტაპი: მინგეჩაური-შემახი (29 აპრილი).

X ეტაპით, რომელსაც სტარტი მიეცემა შემახში, ხოლო ფინიში ბაქოში, დამთავრდება ამიერკავკასიის რესპუბლიკების მრავალდღიანი ველორბოლა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გარდამავალ თასზე.

„დარუშაფაკი“ დამარცხებული ტოვებს მოედანს

მას შემდეგ, რაც თბილისის „დინამომ“ სტამბოლში დაამარცხა თურქეთის ჩემპიონი „დარუშაფაკი“, ცხადი გახდა, რომ ევროპის ჩემპიონთა თასის ნახევარფინალისაკენ მას გზა ხსნილი ჰქონდა. მართალია, დინამოელებს კიდევ ერთხელ უნდა ეცადათ თავიანთი ძალები ამ გუნდთან ბრძოლაში, მაგრამ განმეორებითი მატჩის საბოლოო შედეგი ეჭვს არ იწვევდა. პირველი შეხვედრის შემდეგ თურქეთის პრესა საკმაოდ სკეპტიკურად განეწყო თავისი გუნდის შესაძლებლობებისადმი. ერთ-ერთი კორესპონდენტი იმასაც კი წერდა, რომ თბილისში გამგზავრებას აზრი არ აქვსო და რომ უკეთესი იქნება გუნდმა სტამბოლშივე მოაწეროს ხელი დამარცხების აქტსო. მაგრამ სპორტული ეთიკა და საერთაშორისო ფედერაციის მკაცრი წესები მოითხოვდა საპასუხო ვიზიტს და აი „დარუშაფაკიც“ ეწვია თბილისს.

ის ფაქტი, რომ კალათბურთის მოყვარულები უდიდესი ინტერესით შეხვდნენ თურქეთის ჩემპიონის ჩამოსვლას, ოდნავადაც არ არის გასაკვირი. თბილისში კალათბურთი უყვართ და სპორტის ამ სახეობის თაყვანისმცემლები სიხარულით იღებენ სტუმრებს, განსაკუთრებით იმათ, ვინც პირველად არის ჩვენს ქალაქში.

მაშ ასე: „დარუშაფაკი“ (სტამბოლი)-„დინამო“ (თბილისი). თურქეთის ჩემპიონის სასტარტო ხუთეული ასე გამოიყურებოდა — წ. უიგური, ნ. ხოშგორი, მ. აქშენქალი, ხ. იაქინი და დ. აჩიქბაში. თამაშის დაწყებამდე უკვე ცნობილი იყო, რომ სტუმრების შემადგენლობაში წამყვან როლს თამაშობენ მაღალი ტანის უიგური (№ 4) და იაქინი (№ 8). ცნობილი იყო ისიც, რომ ორთავე სპორტსმენს კარგი სროლები აქვთ შორი მანძილიდან და თავგამოდებით იბრძვიან ფარქვეშ. „დინამომ“ მატჩი ასეთი შემადგენლობით დაიწყო — გ მინაშვილი, ვ. უგრეხელიძე, ა. კილაძე, ლ. ინწკირველი და ა. ლექავა.

პირველ წუთებზე წარმატებას სტუმრებმა მიაღწიეს. იაქინმა თითქმის მოედნის ცენტრიდან ბურთი კალათში მოათავსა, ხოლო უიგურმა წარმატებით გამოიყენა ერთი საჯარიმო სროლა. მხოლოდ მესამე წუთზე გახსნეს ანგარიში თბილისელებმა (მინაშვილი), მაგრამ იაქინმა, შორიდან კვლავ ერთი ბურთი ჩააგდო. ამას მოყვა უგრეხელიძის და კილაძის ოსტატური სროლები და „დინამო“ გავიდა წინ.

„დარუშაფაკმა“ პირველი მატჩის გამოცდილებით გაძლიერებული დაცვის ქვეშ აიყვანა ა. ლექავა. ორი კაცი, როგორც წესი, არ სცილდებოდა მას, მაგრამ ძალთა ასეთმა გადაჯგუფებამ ერთი დინამოელი უმეთვალყუროდ დატოვა. ეს იყო კილაძე, რომელსაც შორიდან სროლის საშუალება მიეცა. თბილისელთა სნაიპერმა სიამოვნებით მოკიდა ხელი მისთვის საყვარელ საქმეს და დაიწყო „დარუშაფაკის“ კალათის უშეცდომო „ბომბარდირება“. თურქებმა აიღეს წუთშესვენება და მცირე თათბირის შემდეგ სცადეს „კილაძის საკითხის“ მოგვარება.

მაშინ მოქმედების თავისუფლება მიიღო მეორე დინამოელმა — გ. მინაშვილმა. ახლა უკვე ანგარიშმა იწყო ზრდა მისი დახმარებით. სტუმრებმა მდგომარეობის გამოსწორება სცადეს შორი მანძილიდან სროლებით, რადგან მაღალი ბურთისათვის ფარქვეშ ბრძოლა მათ რამდენიმეჯერ უნუგეშოდ წააგეს. სხვებზე უფრო მეტად კალათში სროლას „ბედავდნენ“ უიგური და იაქინი და უნდა ითქვას, რომ ისინი უფრო ხშირად წარმატებას აღწევდნენ. მაგრამ ამ ორი სპორტსმენის ოსტატური სროლები ჯერ კიდევ არ ნიშნავდა გადამწყვეტ უპირატესობას. ინიციატივა კვლავინდებურად მასპინძლების მხარეს იყო და მათ მოიგეს კიდეც მატჩის პირველი ნახევარი — 35:21.

შეხვედრის ბედი უკვე ადრეც იყო გადაწყვეტილი, მაგრამ მეორე ტაიმის პირველმა წუთებმა იგი კიდევ უფრო მეტად განამტკიცა. „დინამომ“ მოიგო მეორე მეოთხედფინალური მატჩი ანგარიშით — 84:49. ევროპის ჩემპიონთა თასისათვის ბრძოლა შედის გადამწყვეტ ფაზაში. ამ გამარჯვებით ჩვენმა გუნდმა მოიპოვა ნახევარფინალში თამაშის უფლება. აქ მისი პარტნიორი იქნება ძველი სპორტული მეტოქე — მოსკოვის ცსკა, რომელმაც თავის მხრივ წარმატებით განვლო მეოთხედფინალური ზღვარი.

ნ. ბუზუშვილი

• • •



სურათზე: ა. სხირელი ფარქვეშ.

საკავშირო კონკურსი ზაპოროჟიეში

გაზეთ „ზაპოროჟსკაია პრავდის“ რედაქციამ გამოაცხადა საკავშირო კონკურსი საჭადრაკო კომპოზიციაში. კონკურსი გაიმართება 2, 3, 4 და მრავალსვლიანი ამოცანებისა და ეტიუდების შედგენაში.

კონკურსის უკანასკნელი ვადაა 1962 წლის 1 აგვისტო. ნაწარმოებები უნდა გაიგზავნოს მისამართით: ქ. ზაპოროჟიე, გაზეთ „ზაპოროჟსკაია პრავდის“ „რედაქცია, წარწერით „კონკურსისათვის“.

გამარჯვებულთათვის დაწესებულია ჯილდოები.

ჩვენი ნაკრები—თასის მფლობელი

ჩვენი ქვეყნის ფრენბურთელ ქალთა ნაკრები გუნდი მიწვეულ იქნა ჩეხოსლოვაკიაში, სადაც მან მონაწილეობა მიიღო „საბჭოთა არმიის მიერ ოსტრავის განთავისუფლების“ თასზე. შეჯიბრების უკანასკნელ დღეს დიდი ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ეროვნული ნაკრების მატჩმა. ამ შეხვედრას უნდა გამოევლინა თასის მფლობელი. პირველი პარტიის წაგების (14:16) შემდეგ საბჭოთა ფრენბურთელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა, ზედიზედ მოიგეს 3 პარტია და პირველი ადგილი დაიკავეს.

საბჭოთა გუნდს, რომელიც გამოდიოდა ბულდაკოვას, ავენის, მიხაილოვსკაიას, ტიხონოვას, ჩესნოკოვას, ტიშკევიჩის (კომენეკის, კარპოვას, კალმაკოვას) შემადგენლობით, საზეიმო ვითარებაში გადაეცა თასი. მეორე ადგილი დაიკავა ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა, რომელმაც მოუგო პოლონეთის ნაკრებს — 3:2.

მოსკოვის საერთაშორისო

ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში გრძელდება სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელიც ამავე დროს მოსკოვის ღია ჩემპიონატია. მონაწილეებმა თითქმის განვლეს შეჯიბრების ნახევარი — გათამაშებულია 6 ტური.

ტურნირს ლიდერობს გროსმაისტერი ავერბახი (4,5 ქულა), რომელიც დაუმარცხებლად იბრძვის. ლიდერს 0,5 ქულით ჩამორჩება გროსმაისტერი ბრონშტეინი, მაგრამ მას ერთი პარტია გადადებული აქვს. ლიდერთა შორის უნგრელ გროსმაისტერ ბარცასთან ერთად არიან ახალგაზრდა ოსტატები მოსკოველი იუდოვიჩი და ჩეხი გორტი. მათ 3,5-3,5 ქულა აქვთ.

შეჯიბრების მოულოდნელობაა დანიელი გროსმაისტერის ლარსენის წარუმატებლობა, რომელმაც წააგო 3 პარტია.

18 აპრილს, ფიზკულტურის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში შედგება საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის

XI პლენუმი

დასაწყისი 12 საათზე.

✦

ზედა რიგში:

მარცხნიდან — გ. შარაშიძე (მწვრთნელი), თ. ანთაძე (კაპიტანი), ჯ. აბაიშვილი, ჯ. ცერცვაძე, ბ. კოპალეიშვილი, ა. ექსეულიძე.

✦



✦

ქვედა რიგში:

ი. ფხაკაძე, გ. მაჭავარიანი, ი. შელეგია, ლ. კარტოზია, ა. რატიანიძე, თ. ზარდალიშვილი.

✦

თბილისის „ბურევესტნიკი" — პირველი

ჩემპიონატის გმირი

ხელბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურმა არნახული ინტერესი გამოიწვია კაუნასელ სპორტის მოყვარულებში. „სპორტ-ჰალეს" დარბაზი სავსე იყო გულშემატკივრებით. ეს გასაგებიცაა. ამ დღეს კაუნასის „ატლეტასი", რომელიც ერთ-ერთი ლიდერია ტურნირში, თამაშობდა მოსკოვის „ტრუდის" წინააღმდეგ და გამარჯვების შემთხვევაში ინაწილებდა საპრიზო ადგილს.

ამ დღეს მთლიანად გამართლდა კაუნასელთა ვარაუდი. მათმა ფავორიტმა — „ატლეტასმა" ძლიერად ჩაატარა შეხვედრის ორივე ნახევარი და პირველი დამარცხება მიაყენა მოსკოველთა კოლექტივს — 18:14.

ჩვენი რესპუბლიკის ხელბურთელები გულმოდგინედ მოემზადნენ „ალუმინშტენთან" შეხვედრისათვის, მაგრამ, როგორც მატჩის მსვლელობამ ცხადყო, არც ზაპოროჟელებს დაუკარგავთ უქმად დრო. მათ პირველი 10 წუთის განმავლობაში ყველაფერი გააკეთეს თბილისელთა კარისაკენ თავისუფალი მისასვლელების ძიებაში და ბრძოლამ მძაფრი ხასიათი მიიღო. კარგა ხანს ანგარიში საყაიმო იყო — 1:1, 2:2, 3:3.

შემდეგ თბილისელებმა მოუმატეს ტემპს. კომბინაცია კომბინაციას ცვლიდა, თანდათან გამოიკვეთა ჩვენი ხელბურთელების ტექნიკური და ტაქტიკური უპირატესობა. ზაპოროჟელებმა თბილისელთა ლიდერს, ცერცვაძეს პერსონალური დარაჯი არ მიუჩინეს, რაც მათ ძვირად დაუჯდათ. სწორედ ცერცვაძემ გაიტანა ხუთი გოლი მათს კარში და დააწინაურა გუნდი — 8:5.

შემდეგ მოწინააღმდეგეებმა 2-2 ბურთი გაიტანეს და ბრძოლა თითქმის ისევ გათანაბრდა, მაგრამ შესვენებამდე ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა კიდევ ოთხი ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში და გუნდები შესვენებაზე წავიდნენ ანგარიშით 14:8 თბილისელთა სასარგებლოდ.

მეორე ნახევარი დიდად არ განსხვავდებოდა პირველისაგან. საქართველოს ხელბურთელები კვლავ ბატონობდნენ მოედანზე და როცა თბილისელთა მიერ გატანილი ოთხი გოლის წინააღმდეგ ზაპოროჟელებმა მხოლოდ ერთის გათანაბრება შეძლეს, მათ თითქმის მთლიანად დაყარეს ფარ-ხმალი. მოპოვებულ იქნა გადამწყვეტი უპირატესობა, რაზეც ნათლად მეტყველებს ანგარიში — 18:9.

შეხვედრის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე ახალი ენერგიით შეუტიეს მეტოქის კარს ცერცვაძემ და ანთაძემ. კვლავ სწრაფად იზრდება ანგარიში — 27:14. უკანასკნელ წუთზე ცერცვაძემ კიდევ ორჯერ აიძულა მოწინააღმდეგე თამაში ცენტრიდან დაეწყო და საბოლოოდ მატჩი ძლიერ მოწინააღმდეგეებთან მოგებულ იქნა ანგარიშით 29:14. ამ შეხვედრაში ცერცვაძემ გაიტანა 12 გოლი, მაგრამ არც სხვა ხელბურთელები დარჩენილან ვალში, ყოველი მათგანის ანგარიშზე მოდის 2-3 გატანილი გოლი.

გუშინ კაუნასში შედგა გადამწყვეტი მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ კაუნასის „ატლეტასი" და თბილისის „ბურევესტნიკი". მატჩი დამთავრდა ფრედ — 17:17. თბილისელებმა მოიპოვეს 11 ქულა, დაუმარცხებლად დაამთავრეს შეჯიბრება და ხელბურთელთა პირველ საკავშირო ტურნირში დამსახურებულად გაიმარჯვეს — მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელი და ოქროს მედლები.

ჯ. ენუქიძე,
ჩვენი სპეც. კორ.
კაუნასი.

ვიდრე გვიანი არაა...

თბილისი. „ბურევესტნიკის" სტადიონი. 11 აპრილი.

„დინამო" (თბილისი)-„ზაგლემბე" (ქ. სოსნოვეცი, პოლონეთი) — 1:2 (1:1).

„ზაგლემბე": ჭიუროვიჩი; სკიბა, ბაზანი, სპევაკი; ფულჩიკი (პეციკი), კომოდარი; გაიკი, უზნანსკი, კრავიაში, მიგა, კოსიდორი (მაევსკი).

„დინამო": ლეჟავა; წუწუნავა, ხურცილავა, სოჭოლავა; ზეინკლიშვილი, ხელაძე (გ. სიჭინავა); ფიფია, მელაშვილი (ხუნდაძე), კალოევი, იამანიძე, დათუნაშვილი. მსაჯი მ. ამბარცუმიანი (ერევანი).

თბილისის დინამოელთა გუშინდელი მოწინააღმდეგე — პოლონეთის „ზაგლემბე" ცნობილი გუნდია. შარშან იგი თამაშობდა „სტალის" სახელით და თავისი ქვეყნის ჩემპიონატში მე-7 ადგილი დაიკავა. წელს „ზაგლემბე" საგრძნობლად გაძლიერდა და ლიდერობს პოლონეთის პირველობის გათამაშებაში. ამიტომ თვით ფაქტი დინამოელთა დამარცხებისა, არაა სენსაციური და გასაკვირი. ასეთ შემთხვევებში, როგორც იტყვიან, წაგება და მოგება ძმები არიან. მაგრამ გაოცებას და შეშფოთებას იწვევს თბილისელთა ძალზე უსისტემო, ქაოტური თამაში, ცალკეულ მოთამაშეთა აბსოლუტური დაუმორჩილებლობა საერთო სათამაშო გეგმისადმი, გუნდის ხაზებს შორის შეუთანხმებლობა და გაუგებრობა.

✦

ლაპარაკია არა იმ დებიუტანტებზე, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ შეეწყვნენ ანსამბლს. მათი შეცდომები ბუნებრივია და მისატევებელიც. მკაცრი საყვედურის ღირსნი არიან ის მოთამაშეები, ვინც „დინამოს" წამყვან ძალას წარმოადგენს და ვისი იმედითაც დღეს იმყოფება კოლექტივი. მართალია, მატჩი „ზაგლემბესთან" ჩვენი გუნდისათვის საწვრთნელი გეგმის ერთ-ერთ ეტაპს წარმოადგენს, მაგრამ საერთაშორისო შეხვედრის ასე სუსტად ჩატარება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, მით უმეტეს, რომ ჩემპიონატის სტარტი კარზეა მომდგარი.

განსაკუთრებით ცუდად ითამაშეს დინამოელებმა მეორე ტაიმში. სრულ პასიურობას იჩენდნენ დათუნაშვილი და კალოევი, გუნდში არეულობის მეტი არაფერი შეჰქონდათ იამანიძეს, ხუნდაძეს, გ. სიჭინავას. თავდასხმისა და ნახევარდაცვის მოქმედებაში არ ჩანდა რაიმე სისტემა, გარკვეული გეგმა და მიზანდასახულება, მოწინააღმდეგის კარის აღების რაიმე აზრიანი გზის ძიება. ვისაც ბურთი ჰქონდა, ის იმ მომენტში თამაშობდა ისე, როგორც მოეპრიანებოდა. მწვრთნელთა დავალების შესრულება არც ერთს არ მოსვლია აზრად.

✦

მოსალოდნელი იყო, რომ კალოევის მიერ გატანილი პირველი გოლის შემდეგ გუნდიააწყობდა თამაშს, მაგრამ მოხდა პირიქით. პოლონელებმა ჯერ გაქვითეს გოლი (გაიკი) და მერე გადამწყვეტი ბურთიც გაიტანეს (უზნანსკი), რომელმაც მათ მოუტანა დამსახურებული გამარჯვება.

სჯობს ახლავე, სანამ ჯერ კიდევ არის დრო, თბილისის „დინამოს" თვითეულმა წევრმა სერიოზული ანალიზი გაუკეთოს კოლექტივის ცუდი თამაშის მიზეზებს.

რ. ქორიძე

საბჭოთა ნაკრები ლუქსემბურგში

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად იმყოფება ლუქსემბურგში. აქ 10 აპრილს ერთმანეთს შეხვდნენ ამ ქვეყნების მეორე გუნდები. საბჭოთა ფეხბურთელებმა მატჩი მოიგეს ანგარიშით 7 : 0. გუნდის შემადგენლობაში იყვნენ მასლაჩენკო; გ. ამბარცუმიანი, შესტერნევი, დუბინსკი (ჩოხელი); საბო, მანოშინი; ჩისლენკო, სერებრიანიკოვი, კანევსკი, ა. ამბარცუმიანი, ჰუსაინოვი.

გუშინ გაიმართა პირველი ნაკრები გუნდების შეხვედრა.

„დინამო" (სოხუმი)- რეზ (რიგა) — 2:2

გუშინ სოხუმში შედგა ფეხბურთში 1962 წლის საკავშირო ჩემპიონატის ალმის აღმართვა „ბ" კლასის გუნდებისათვის. ადგილობრივმა დინამოელებმა თავიანთი პირველი მატჩი ჩაატარეს რიგის ელექტრომანქანათმშენებელი ქარხნის გუნდთან.

თამაშის დასაწყისი კარგს არას უქადდა მასპინძლებს. რიგელებმა თავიდანვე ხელთ აიღეს ინიციატივა და ზედიზედ რამდენიმე მეტად სახიფათო მომენტი შექმნეს „დინამოს" კართან. მათი უპირატესობა გაგრძელდა დაახლოებით ოციოდე წუთი, რის შემდეგ დინამოელებმა თანდათან შეძლეს ურთიერთმოქმედებათა მოწესრიგება და მალე შეტევაზეც გადავიდნენ. 25-ე წუთზე გრამატიკოპულომ და მინჯიამ კარგად გაითამაშეს თავისუფალი დარტყმა, რომელიც ზუსტი დარტყმით დაამთავრა ამ უკანასკნელმა — 1:0. სტუმრებმა ცენტრიდან დაიწყეს თამაში და მაშინვე გაათანაბრეს ანგარიში — 1:1.

დინამოელებმა 30-ე წუთზე მძლავრად შეუტიეს და შენგელიამ შორი მანძილიდან გაიტანა ბურთი — 2:1.

შესვენების შემდეგ სოხუმელებს ჰქონდათ ბურთის გატანის რამდენიმე რეალური შესაძლებლობა, მაგრამ ვერც ერთი ვერ გამოიყენეს. რაც შეეხება სტუმრებს, მათი ერთ-ერთი იერიში ზუსტი დარტყმით დაამთავრა მარჯვენა გარემარბმა კალნინშმა — 2:2. ეს შედეგი არ შეცვლილა მსაჯის საფინალო სასტვენამდე.

სოხუმელები თავიანთ პირველ კალენდარულ მატჩში გამოიყურებოდნენ გაცილებით უკეთესად, ვიდრე საკონტროლო შეხვედრებში. გუნდი თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: თბილელაშვილი; უსტაბაშიდი, გიგავა, ნადარეიშვილი; დარახველიძე, სიჭინავა; ჭითანავა, გრამატიკოპულო, მინჯია, შენგელია, ცინცაძე.

ზ. გვილავა

ამხანაგური მატჩი

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში შედგა ამხანაგური შეხვედრა სტამბოლის „დარუშაფაკისა" და თბილისის „ბურევესტნიკს" შორის.

მატჩი მოიგეს თბილისელებმა — 79:53.

ფეხბურთის მიმოხილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნივერსალური ბუცები

ბრაზილიის ფეხბურთელთა დელეგაციის შემადგენლობაში ჩარიცხულია ხარაზი ა. პერეირა. ესაა თავისი საქმის შესანიშნავი ოსტატი, რომელიც ამზადებს უნივერსალურ ბუცებს ყოველგვარი ამინდისა და მინდვრისათვის. ა. პერეირამ ზედმიწევნით იცის ნაკრები გუნდის თითოეული მოთამაშის წონა, გაბარიტები, სისწრაფე, ტექნიკური თავისებურებანი, ხასიათი და ამის მიხედვით უმზადებს მათ ბუცებს.

აღსანიშნავია, რომ ა. პერეირა შვეციაშიც ახლდა ბრაზილიის ნაკრებს.



პრეტენდენტი № 1

დღიდან დაარსებისა, ოქროს ქალღმერთის თასი გათამაშდა სულ ექვსჯერ. 1930 წლიდან მოყოლებული ამ უმაღლეს საფეხბურთო პრიზს მოვლილი აქვს ოკეანის ორივე მხარე, ოთხწლიან „პატიმრობაში“ იმყოფებოდა რამდენიმე სახელმწიფოში, მაგრამ არავის ეჭვი არ ეპარება, რომ მისი ყველაზე უფრო ღირსეული და კანონზომიერი მფლობელია ბრაზილიის ნაკრები გუნდი. სწორედ ის გუნდი, რომელმაც ჭეშმარიტი ტრიუმფით მოიპოვა იგი უკანასკნელ გათამაშებაში 1958 წელს.

ბრაზილიელთა ამ დიდ წარმატებაზე უცხოეთში დაიწერა ტომები და მთელი ეს ლიტერატურა რომ ერთად შეიყაროს, კარგა მოზრდილი ბიბლიოთეკა შედგება, სადაც საგანგებო კატალოგები დასჭირდებოდათ ფეხბურთის ისეთ კორიფეებს, როგორებიც იყვნენ სტოკჰოლმში დიდი, პელე, გარინჩა, ვავა, ჟილმარი, მაცოლა, ბელინი და სხვანი.

მაგრამ გამარჯვებაც არის და გამარჯვებაც. ბრაზილიელებმა ჟიულ რიმეს თასის VI გათამაშების ფინალში აჩვენეს ნამდვილად თანამედროვე, პროგრესული ფეხბურთი მთელი თავისი ბრწყინვალებით. ინგლისელებმა, რომლებსაც ჯერ კიდევ შემორჩათ ბრიტანული ქედმაღლობა, იკადრეს შესაფერისი ხარკი მიეძღვნათ ბრაზილიელთა ღირსეული გამარჯვებისათვის: „ჩვენ შეუძლებელ საქმედ მიგვაჩნია რევოლუციის მოხდენა ფეხბურთში, ვინაიდან მან კარგა ხანია განვლო რევოლუციების პერიოდი, მაგრამ ბრაზილიელებმა მაინც შეძლეს გამოსულიყვნენ თავისებურ რევოლუციონერთა როლში. ქრისტეფორე კოლუმბმა ერთხელ უკვე აღმოაჩინა ამერიკა და მისი ხელმეორედ აღმოჩენა არა თუ კოლუმბის აფრებიანი ხომალდით, თანამედროვე რეაქტიული თვითმფრინავითაც კი შეუძლებელია. ბრაზილიელებმა კი მეორედ შეძლეს ფეხბურთის აღმოჩენა. ამიტომ ისინი აღიარების ღირსნი არიან“.

მას შემდეგ ოთხი წელი გავიდა და ბრაზილიელები დღესაც უმაღლეს საფეხბურთო საფეხურზე დგანან თავიანთი მაჩვენებლებით. მათი გზა ამ ხნის განმავლობაში გამარჯვებებითაა მოფენილი და ის ორი, ორად ორი დამარცხებაც, რომელიც ჩემპიონს აქვს განცდილი (არგენტინასთან — 0:2 და ურუგვაისთან — 0:1), დიდი ხანია გამოსყიდულია სარევანშო მატჩებში. ანალოგიური წარმატებები აქვთ მოპოვებული ბრაზილიის საუკეთესო საკლუბო გუნდებს, რომლებიც ხშირად მოგზაურობენ მსოფლიოს ყველა კუთხეში.

ბრაზილიაში ახლა მოუთმენლად ელიან VII ჩემპიონატის ფინალური მატჩების დაწყებას და სავსებით დაიმედებული, აბსოლუტურად დარწმუნებული არიან, რომ მათი პირველხარისხოვანი გუნდი ერთხელ კიდევ გახდება უზენაესი ტიტულის მფლობელი. ამ ოპტიმიზმს ისე აქვს გადგმული ფეხი „ფეხბურთისა და ყავის ქვეყანაში“, რომ ყველა იმ უგუნურს, ვისაც აქ მცირეოდენი ეჭვი მაინც ეპარება ჩემპიონის ხელმეორე ჩემპიონობაში, ურჩევნია თავისი ანტიპატრიოტული შეხედულებანი კარგად დამალოს, თორემ ბრაზილიელ გულშემატკივრებთან ამგვარი „ხუმრობები“ ცუდად მთავრდება ხოლმე. თვით პელემაც კი, რომელიც ცნობილია თავისი თავმდაბლობით, ოფიციალურად განაცხადა კორესპონდენტთან საუბარში, რომ ღრმადაა დარწმუნებული საკუთარი გუნდის გამარჯვებაში, თუმცა გზა პირველი ადგილისაკენ, მისი აზრით, გაცილებით უფრო მძიმე იქნება, ვიდრე 1958 წელს.

ბრაზილიელ გულშემატკივართა ურიცხვი არმია ფინალურ მატჩებს ორ საპირისპირო ბანაკად დაყოფილი ხვდება. პირველი, ეს ის ხალხია, რომლებიც თავგამოდებით იცავენ თავიანთი ნაკრების შვედურ შემადგენლობას და გაგონებაც არ სურთ მასში რაიმე ცვლილების შეტანაზე. ეს უმრავლესობაა. გულშემატკივართა მეორე, უფრო მცირე ნაწილი, სკეპტიკურადაა განწყობილი ვეტერანთა მიმართ და „იარაღით ხელში“ მოითხოვს ნაკრების სრულ რეკონსტრუქციას, ვინაიდან ეს ახალგაზრდა ფეხბურთელები, მათი აზრით, ისეთი ძალაა, რომელსაც შეეძლება კიდევ ერთი რევოლუცია მოახდინოს მსოფლიო პირველობათა ისტორიაში.

ამგვარი დავა, რამდენადაც იგი ეხება ბრაზილიის ნაკრების დაკომპლექტებას, ახალი ამბავი არაა ამ ქვეყანაში. აქ ყოველთვის განიცდიან უმაღლესი ხარისხის ფეხბურთელთა... სიუხვეს და ამ უმდიდრესი კოლექციიდან მჯობნის მჯობნთა არჩევა მეტად ძნელი საქმეა. მაგალითად, ფეხბურთის „შავი ღმერთის“ — დიდის კანდიდატურა ნაკრებში ჯერ კიდევ გაურკვეველია, ვინაიდან მის ადგილზე ხუთი ტოლფასოვანი პრეტენდენტია და მათ შორის გერსონიც, რომელიც დიდის ზუსტი ასლია, ამასთან იგი 21 წლისაა, ხოლო დიდი მასზე ათიოდე წლით უფროსია. აქ მართლაც ძნელია რომელი აირჩიო: ვეტერანის გედის სიმღერა, თუ ჭაბუკის დებიუტი.

ალბათ ამიტომ, მწვრთნელებმა ა. მორეირამ, ვ. ფეოლამ და პ. ნასიმენტომ თითქმის ზუსტი პროპორციით შეადგინეს საკანდიდატო ნაკრები: ნახევარი— ძველი გვარდიაა, ნახევარიც — ახალგაზრდობა. აქ არიან „შვედები“ — კასტილიო, ნ. და ჯ. სანტოსები, მაურო, ბელინი, დე სორდი, ზიტო, გარინჩა, ჟოელი, ვავა, პელე, დიდი და სხვანი. არიან ახლებიც: კუტინიო, მენგოვილიო, დორვალი, ჩინეზინიო, გერსონი, კვარენტინია, ამარილდო, ზეკინია, დალმა, ვალდირი და სხვანი. გუნდის მზადება მიმდინარეობს ზუსტად ისევე, როგორც 1958 წლის ჩემპიონატის პერიოდში. გუნდის საერთო ხელმძღვანელია პ. დე კორვალიო, ექიმი — ცნობილი ფსიქოლოგი ნ. გოსლინგი, მასაჟისტი — პ. ამერიგო და სხვანი. ვინია-დელ-მარში, სადაც მსოფლიო ჩემპიონი ითამაშებს მექსიკის, ესპანეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებთან ერთად, ბრაზილიელებმა დეტალურად შეისწავლეს ყველაფერი: ბინა, წყალი, საკვები, საწვრთნელი ბაზა, სათამაშო მინდორი, მეზობლები, ტემპერატურა და სხვადასხვა, ლაბორატორიულმა კვლევებმა დაადასტურა, რომ აქაურ წყალში ბევრი მაგნეზიაა, ამიტომ ფეხბურთელებს სამშობლოდან სპეციალური თერმოსებით ჩამოუტანენ სასმელ წყალს. ერთი სიტყვით, ჩემპიონები ყველაფერს აკეთებენ, რათა არ დადგეს ოქროს ქალღმერთთან განშორების ჟამი.

ბრაზილიელებს დაგეგმილი აქვთ საწვრთნელ-საკონტროლო მატჩები ბელგიის, საფრანგეთის, უელსისა და პორტუგალიის ნაკრებ გუნდებთან, მაგრამ ჯერჯერობით, სანამ მხარეები ვერ შეთანხმებულან ფინანსურ საკითხებზე, ჩემპიონი ორი შემადგენლობით თამაშობს ერთმანეთს შორის.

ფეხბურთის საერთაშორისო წრეებში დიდ ინტერესს იწვევს შემდეგი საკითხი: როგორ ითამაშებენ ბრაზილიელები ჩილეში? მართლაც, რას ჩაიტანენ ჩემპიონები ფინალში? მათი განთქმული 4 + 2 + 4, რომელიც შვეციაში საფეხბურთო აკადემიად იქცა, დღეს საყოველთაოდ მიღებული და აღიარებული სისტემაა. ეს უკვე აღარაა სიახლე. ამიტომ მოსალოდნელია, რომ ჩემპიონი სხვა რაიმე ტაქტიკურ იარაღს გამოიყენებს. უცხოელი სპეციალისტები წერენ, რომ ეს იქნება მოიერიშე, შემტევი ფეხბურთი, სადაც ძირითადი აქცენტი გაკეთდება თავდასხმაზე. დაახლოებით ასეთი აზრი გამოთქვა ა. მორეირამაც, რომელსაც სისულელედ მიაჩნია ბრაზილიის თავდასხმის შესუსტება, როცა აქ ასეთი „ვარსკვლავები“ თამაშობენ. რაც შეეხება ვ. ფეოლას, მისი შეხედულებით ბრაზილიელთა თავდასხმა 4 ფორვარდის შემადგენლობითაც ყოველთვის შეძლებს ბურთების გატანას, დაცვას კი არ აწყენს გაძლიერება.

ფინალამდე ცოტა დრო დარჩა. დაიწყება გადამწყვეტი თამაშები და საფეხბურთო სამყარო იხილავს, თუ რა სახით ჩავლენ ჩილეში მსოფლიო ჩემპიონები.

დიდის თხოვნა

განთქმული ბრაზილიელი ფეხბურთელი ვალდირ პერეირა, ანუ დიდი, ნაკრების შემადგენლობაში ემზადება ჩილისათვის. დიდი ცნობილია როგორც გუნდის უბადლო „დირიჟორი“ და 1958 წლის გამარჯვების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი.

და აი სწორედ ამ დიდიმ მიმართა ნაკრების მწვრთნელებს, რომ თუ მის ადგილს ძირითად შემადგენლობაში დაიკავებს სხვა ფეხბურთელი, მას აქვს ერთადერთი თხოვნა — ათამაშონ იგი მხოლოდ ესპანეთის გუნდის წინააღმდეგ. ამ „საჩუქარს“ დიდი ითხოვს იმისათვის, რომ სამაგიერო გადაუხადოს ესპანელებს, რომლებმაც წინა მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ კონტრაქტით იყიდეს იგი, მაგრამ სათადარიგო მოთამაშეთა სკამზე დასვეს და საქვეყნოდ შეარცხვინეს ფეხბურთის „შავი ღმერთი“.

სურათებზე: ზევით — ვილა ზღვის პირას ვინია-დელ-მარში, სადაც მსოფლიო პირველობის დღეებში იცხოვრებენ ბრაზილიის ნაციონალური ნაკრების ფეხბურთელები, ქვევით — თქვენ ხედავთ ბრაზილიის ნაკრები გუნდის ფეხბურთელებს, რომელთაც 1958 წელს სტოკჰოლმის სტადიონზე ჩატარებულ ფინალურ შეხვედრაში გამარჯვებით მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. ისინი თავიანთი ნაციონალური დროშით საპატიო წრეს უვლიან სტადიონს. წინა პლანზე (მარცხნიდან) —. მეკარე ჟილმარი, ვავა და გარინჩა.

PERU
ARICA
BOLIVIE
III ჯგუფი
I. ბრაზილია
VIÑA DEL MAR
SANTIAGO
RANCAGUA
ARGENTINA

შუახევი

აქ ჩატარდა რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო შეჯიბრება მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში, ჭადრაკსა და შაშში.

ჭადრაკში ერთმანეთს ეჯიბრებოდა 12 მოსწავლე. პირველი ადგილი დაიკავა ბარათაულის საშუალო სკოლის მოსწავლემ ვ. ყუფიანმა, მეორე — ოლადაურელმა მოსწავლემ რ. ნაკაიძემ.

შაშში გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა ოლადაურის საშუალო სკოლის გუნდმა. პირად პირველობაზე გაიმარჯვა ამავე სკოლის მოსწავლემ შ. შავაძემ.

მცირეკალიბრიანი შაშხანიდან ტყვიით სროლაში პირველი ადგილი დაიკავეს ხიჭაურის შვიდწლიანი სკოლის მსროლელებმა. მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს შუახევისა და შუშნის საშუალო სკოლების კოლექტივებმა. კარგი სროლით გამოირჩეოდნენ ბ. თულაშვილი ბ. მოიზესი, რ. ნინუა და სხვები.

გ. ჟანტურია

ქალაქებსა და რაიონებში

თბილისი

თბილისის საკონსტრუქტორო ტექნოლოგიურ ბიუროში დამთავრდა თანამშრომელთა 1962 წლის პირველობა ჭადრაკში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 13 მოჭადრაკე. გ. ლორთქიფანიძემ და გ. ტარსაიძემ 11 ქულით თვითეულმა გაიყვეს I-II ადგილები. III ადგილზე 9 ქულით გამოვიდა ფ. ადამოვი.

გ. ზოზიაშვილი

• • •

ამას წინათ თბილისში, ხელოვნების მუშაკთა სახლში ჩატარდა მატჩ-ტურნირი ჭადრაკის ელვისებურ თამაშში. ტურნირში 8 მოჭადრაკე მონაწილეობდა. I ადგილზე 14,5 ქულით გამოვიდა პლეხანოვის სახელობის კლუბთან არსებული სახალხო თეატრის მსახიობი ს. რუსია. II ადგილზე ლოტბარი ა. ურუშაძე (13,5 ქულა). III-IV ადგილები გაიყვეს „საქწიგნის" მმართველმა პ. კობახიძემ და გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" მუშაკმა თ. ბილიხოძემ.

ი. თორდია

✦

გ ო რ ი

გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის 1962 წლის პირველობამ ჭადრაკში თითქმის თვეზე მეტხანს გასტანა. ჩემპიონის სახელისათვის იბრძოდა 12 მოჭადრაკე. I-III ადგილები გაიყვეს ა. სომხიშვილმა, თ. ვანიშვილმა და რ. შუღლიაშვილმა (8 ქულა თვითეულს). შეჯიბრებაში გაიმარჯვა და ინსტიტუტის ჩემპიონის სახელი მოიპოვა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტმა თ. ვანიშვილმა, II ადგილზე გამოვიდა ა. სომხიშვილი.

თ. კოზიაშვილი

ქობულეთი

აქ მოეწყო ქობულეთისა და ჩიათურის ბავშვთა სპორტული სკოლების კალათბურთელ გოგონათა და ჭაბუკთა გუნდების სამატჩო შეხვედრა.

პირველად მოედანზე გამოვიდნენ ჭაბუკები. შეხვედრა აღინიშნა ჭიათურელების უპირატესობით და მათივე გამარჯვებით დამთავრდა — 43:41. გოგონათა გუნდების შეხვედრაში გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ — 31:21.

ლ. ტრაპაიძე

✦

თ ე რ ჯ ო ლ ა

რაიონში სპორტული ცხოვრების ერთ-ერთი სულისჩამდგმელია სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" რაიონული საბჭო, ამიტომ იყო, რომ რაისაბჭოს XI კონფერენციამ, რომელიც ამას წინათ მოეწყო თერჯოლაში, ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

ვრცელი საანგარიშო სიტყვა წარმოთქვა რაისაბჭოს თავმჯდომარემ კ. უკლებამ. მიღწევების აღნიშვნასთან ერთად მან მკაცრად გააკრიტიკა სოფელ ნაზმირლელის, ჰოგნარის, [illegible] კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, რომლებიც აბრკოლებენ კოლმეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივის საქმიანობას.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ქ. რობაქიძემ (ლეანკითი), კ. სულამანიძემ (ზედა სიმონეთი), თერჯოლის სპორტკავშირის თავმჯდომარემ ო. კახიძემ.

კონფერენციამ, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რაიონის პარტიულმა ხელმძღვანელებმა, დადებითად შეაფასა „კოლმეურნის" რაისაბჭოს მუშაობა. დელეგატებმა რაისაბჭოს თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს კ. უკლება.

ლ. ჯიშიაშვილი

თბილისის „დინამოსა" და სტამბოლის „დარუშაფაკის" კალათბურთელთა მატჩს სხვა სტუმრებთან ერთად ესწრებოდნენ კუბის რესპუბლიკის მოჭიდავეებიც, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ სპორტის სასახლეში გამართულ საერთაშორისო ტურნირში.

სურათზე: კუბელი მოჭიდავეები ინტერესით ადევნებენ თვალს მატჩის მსვლელობას.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

დიდი, სასარგებლო საქმე

გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტმა" დიდი და მეტად სასარგებლო საქმეს მოკიდა ხელი — დაიწყო ენციკლოპედიური ლექსიკონის სამტომეულის გამოცემა ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებთან დაკავშირებით (მთავარი რედაქტორია გ. კუკუშკინი). უკვე გამოვიდა პირველი ტომი, რომელშიც შესული და განმარტებულია სიტყვები „აბსოლუტური რეკორდიდან" „კლინჩამდე".

როგორც პირველი ტომის შესავალშიც არის აღნიშნული, ეს ლექსიკონი წარმოადგენს პირველ ნაბიჯს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროში მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევათა განზოგადების გზაზე. ლექსიკონში მოთავსებულია თეორიული წერილები ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებზე, აგრეთვე წერილები მთელი რიგი მეცნიერული დისციპლინების სფეროდან, რომლებსაც კავშირი აქვთ ფიზიკური კულტურისა და სპორტის თეორიასთან და პრაქტიკასთან და ა. შ.

პირველ ტომში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი ცნობებს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების შესახებ მოკავშირე რესპუბლიკებში, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ხალხთა სპორტის ეროვნულ სახეობათა და თამაშების შესახებ.

ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა მკითხველს მივაწოდოთ ცნობები იმ მასალების შესახებ, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებს, ცალკეულ გუნდებსა თუ სპორტსმენებს ეხება.

წერილში „ალპინიზმი", რომელშიც წარმოდგენილია სპორტის ამ სახეობის ჩასახვისა და განვითარების მოკლე ისტორია როგორც საერთოდ, ისე, კერძოდ, საბჭოთა კავშირშიც, აღნიშნულია, რომ პირველი მთასვლური ღონისძიება, რომელმაც სათავე დაუდო საბჭოთა ალპინიზმს, იყო 1923 წელს მყინვარწვერზე პროფ. გ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით ქართველი ალპინისტების ჯგუფის ასვლა, თუმცა შემდეგ წერილში კონკრეტულად აღარაა დასახელებული მომდევნო თაობათა ქართველი მთასვლელების გვარები, რომლებმაც არაერთი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს მთებთან ბრძოლაში.

ამასთან დაკავშირებით უნდა გავაკეთოთ ერთი, საერთო შენიშვნა: როგორც ჩანს, იმ გარემოებას, რომ ფიზკულტურასა და სპორტში ენციკლოპედიური ლექსიკონი პირველად გამოდის, გარკვეული, მტკიცე და დადგენილი ტრადიციების გარეშე, თავისი დაღი დაუმჩნევია მასში მოთავსებული წერილების სისტემატიზებულობაზე. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ბევრ შემთხვევაში პირველ ტომში არ არის დაცული ერთი პრინციპი მსგავსი, მონათესავე მასალების მიმართ, გვხვდება არათანმიმდევრობა და ხარვეზებიც კი მასალათა შინაარსობრივ მოცულობაში. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი.

დავიწყოთ იქიდან, რომ ლექსიკონში ვერ ვხვდებით ჩვენი ქვეყნის მთელი რიგი ტრადიციული სპორტული გეოგრაფიული პუნქტების დასახელებასა და ცნობებს მათს შესახებ, რაც უთუოდ დასჭირდება სპორტის ამა თუ იმ სახეობის წარმომადგენლებს. პირველ ტომში, მაგალითად, არაა დასახელებული ბაკურიანი, როგორც საბჭოთა კავშირის სამთო-სათხილამურო სპორტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა. მეორეს მხრივ კი (და სრულიად სამართლიანად) წარმოდგენილია ისეთი გეოგრაფიული სახელწოდებანი, როგორიცაა „პინდუშუკი", „მყინვარწვერი" და სხვ. თუ ერთ შემთხვევაში გვაინტერესებს პუნქტები ალპინიზმთან დაკავშირებით, რატომ არ უნდა გვაინტერესებდეს ისინი სამთო-სათხილამურო სპორტთან დაკავშირებით?

სიტყვამ მოიტანა და აქვე ვიტყვით: პირველ ტომში საერთოდ გამოტოვებულია ტერმინის „სამთო-სათხილამურო სპორტი" განმარტება. შეიძლება შეგვედაონ, რომ ეს ქვესახეობა განხილულ იქნება მის მომცველ სპორტულ სახეობასთან — „სათხილამურო სპორტთან" დაკავშირებით. მაგრამ, რატომაა მაშინ ლექსიკონში დამოუკიდებლად გამოტანილი და განმარტებული „ალპური რბოლა" ანკიდევ — მძლეოსნური რბენა."?

თანმიმდევრობა არაა დაცული მასალებში სხვა მიმართებითაც. მაგალითად, წერილში „თავისუფალი ჭიდაობა" სპორტის ამ სახეობის წესებთან, ისტორიასთან და ჩვენს ქვეყანაში მის განვითარებასთან ერთად სრულიად სამართლიანად არიან დასახელებული გამოჩენილი საბჭოთა მოჭიდავეები, რომლებმაც მნიშვნელოვანი კვალი გაავლეს სამამულო სპორტის ისტორიაში და ბევრი რამ გააკეთეს სამშობლოს სპორტული დიდებისათვის. ასეთთა რიცხვში მოხვდნენ, მაგალითად, დ. ციმაკურიძე, ა. მეკოკიშვილი, ვ. ბალავაძე, ა. ენგლასი, ა. ბესტაევი მ. ცალქალამანიძე, გ. საიადოვი, ნ. მუშეღიანი, ვ. სინიავსკი, ა. ალბული, გ. სხირტლაძე, ვ. რუბაშვილი და სხვანი. ეს ძალიან კარგი, მაგრამ რატომ არაა გამოყენებული იგივე პრინციპი წერილში „კალათბურთი"? რატომ არ უნდა აღენიშნათ აქ ისეთი სპორტსმენები, რომლებიც საბჭოთა ნაკრების საძირკველს წარმოადგენდნენ სწორედ მაშინ, როცა ჩვენმა კალათბურთმა საერთაშორისო ასპარეზზე იწყო გასვლა და თავიდანვე ბრწყინვალე შედეგები მოიპოვა? სამამულო კალათბურთში ო. ქორქიას, ნ. ჯორჯიკიას, ი. ლისოვის, ე. ალექსეევისა და სხვათა ფასდაუდებელი წვლილის აღუნიშვნელობა არაფრით არ შეიძლება გამართლდეს.

დაახლოებით ასეთივე შენიშვნების გაკეთება შეიძლებოდა წერილების „წყალბურთი", „ტანვარჯიში" და სხვათა შესახებ (ამ წერილებში, კერძოდ, ქართველ მოღვაწეთა და სპორტსმენთაგან, დასახელებული არიან მხოლოდ გ. ხ. ეგნატაშვილი და პ. მშვენიერაძე).

ლექსიკონის უფრო სრული, საგანგებო ანალიზის შედეგად შეიძლებოდა კიდევ უფრო გაგვეზარდა და მრავალმხრივი გაგვეხადა კრიტიკულ შენიშვნათა რიცხვი და უფრო ღრმად და დასაბუთებულად წარმოგვედგინა ისინი, რის საშუალებასაც საგაზეთო წერილის ფარგლები არ იძლევა. მაგრამ ეს ოდნავადაც არ ნიშნავს იმას, რომ ენციკლოპედიური ლექსიკონის პირველი ტომი მხოლოდ კრიტიკული შენიშვნების ასპექტში განხილვას იმსახურებდეს. პირიქით: ჩვენ ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ მისი გამოსვლა მეტად დიდი და სასარგებლო საქმეა.

ჩვენი განხილვის ვიწრო თვალსაზრისითაც ამ დადებითი მხარეების საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ ის ფაქტი, რომ პირველ ტომში საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი საქართველოს ფიზკულტურა და სპორტი ისეთ წერილებში, როგორიცაა „საქართველოს სსრ, ფიზკულტურისა და სპორტის განვითარება", „სპორტის ქართული ეროვნული სახეობანი, ფიზიკური ვარჯიშები და თამაშები", „საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი", „საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი" და სხვ.

ენციკლოპედიური ლექსიკონი ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებზე დიდ დახმარებას გაუწევს სპორტსმენებს, მწვრთნელებს, ფიზაღზრდის მასწავლებლებს, სხვადასხვა ფიზკულტურულ და სპორტულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს მათს საქმიანობაში.

შ. ჯულელი

სპორტის სასახლე

დ ღ ე ს!

საერთაშორისო შეხვედრა

ქიუ-დოში

საბჭოთა კავშირი —
საფრანგეთი

13-15
ა პ რ ი ლ ი

საერთაშორისო
ტურნირი

თავისუფალ
ჭიდაობაში

დასაწყისი 19 ს. 30 წ.

13-17
ა პ რ ი ლ ი

ვ. ი. ლენინის სახ. დარბაზი

საქართველოს 1962 წლის
პირად-გუნდური პირველობა

სპორტულ
ტანვარჯიშში

შეჯიბრება ეძღვნება გაზეთ
„პრავდის" 50 წლისთავს.

დასაწყისი 16 ს.

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის ხამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-36-09. გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 04012